


# უნიკალური გამოფენა თენგიზ სეფიაშვილი პოსტმოდერნული მოტივები



თანამედროვე (პოსტმოდერნული თუ მისი შემდგომი) ხელოვნება იმდენად ლიბერალურია, რომ თითქოს საკუთარი ნიშნები არც გააჩნია. მაგრამ რაც ნამდვილად ამ დროის პროდუქტია, მის დამახასიათებელ თვისებებსაც ავლენს. თენგიზ სეფიაშვილს კარგად იცნობენ როგორც არქიტექტორს და დიზაინერს, გრაფიკული ნახატების და შერეული ტექნიკით შესრულებული სურათების ავტორს. მაგრამ რაც მან ბოლო ხუთი თვის განმავლობაში შექმნა, თვით მისთვისაც სიახლეა. ეს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა: ის შემოქმედს აძლევს თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობას. ერთადერთი, რასაც მისგან ითხოვს, არის სათქმელის არსებობა, რომელიც მის გამოსახატად ავტორს შესატყვის საშუალებებს მიაკვლევინებს. პოსტულატების უარყოფის ეპოქაში, ფასდება ის, რაც ნამდვილად შინაგანი მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენდება და რაც შესატყვისი სტრუქტურის სახით ყალიბდება. ეს წარმოადგენს ერთადერთ პოსტულატს. თენგიზ სეფიაშვილი 2010 წლის იანვრიდან კინეტიკურ ობიექტებს ქმნის.

მოძრავი, მექანიკური, კინეტიკური სკულპტურა მოდერნისტული ხელოვნების პროდუქტია. თუმცა, მანამდე არსებობდა ლეონარდოს საფრენი აპარატი, - საინჟინერო პროექტი. მეოცე საუკუნეში, როდესაც ყოველგვარი მანქანა და თვით თვითმფრინავი ყოფაში დამკვიდრდა, როცა მხატვრებს ეპოქის დინამიზმის მხატვრულად ასახვის სურვილი გაუჩნდათ, დროის მიერ მოტანილმა ელემენტებმა სახვით ხელოვნებაშიც შეაღწიეს. პირველი იყო გაბო, ვინც ძრავა მიუერთა ქანდაკებას. მერე იყო დუშანის ობიექტები. განსაკუთრებით ცნობილია ამ თვალსაზრისით კოლდერი. მხატვრები ფორმების სივრცეში ამოძრავებაზე ზრუნავდნენ. ეს ფორმები, როგორც იმ ეპოქას შეესაბამებოდა, აბსტრაქტული იყო – გეომეტრიულ ან ორგანულ ფორმებზე დაფუძნებული, მაგრამ აბსტრაქტული, რეალობიდან დაშორებული. მერე ტინგლის მეტა მექანიკური სკულპტურები გაჩნდა, - იუმორნარევი რეპლიკა მანქანაზე, მის მექანიზმზე. სხვებიც შეიძლება გავიხსენოთ. მხატვრები და მოქანდაკეები იყენებდნენ მინას, ლითონს, სარკეს, ზამბარებს და სხვა მასალებს, რომლებიც ადრე არ გამოიყენებოდა ქანდაკების შესაქმნელად და საერთოდ ახალმა, ინდუსტრიულიზაციის ეპოქამ დააფუძნა ყოფასა და ხელოვნებაში. ქართველ მხატვართაგან 1920-იან წლებში მხოლოდ დავით კაკაბაძე იყენებდა მსგავს მასალებს. მართალია, მობილური ქანდაკება მას არ შეუქმნია, მაგრამ სარკეებით, მინით და ლითონით კოლაჟებშიც და ქანდაკებაშიც სივრცის და დინამიზმის ასახვას ისახავდა მიზნად. თენგიზ სეფიაშვილის ნამუშევრები თანამედროვე ეტაპზე იმ მოდერნისტული ძიებების გაგრძელებაა. თუმცა, ამ ექსკურსს მისი მოძრავი ობიექტების აღნიშნული მხატვრების ნამუშევრებთან მსგავსების გამოსავლენად კი არ ვაკეთებთ, არამედ პირიქით, - მათი ორიგინალობის შესაფასებლად.

თენგიზ სეფიაშვილი 1970-იანი წლების თაობის მხატვარია. მის ადრეულ ნამუშევრებში სიურეალიზმის და პოპ არტის ელემენტებიც იკითხება, სიმბოლისტურიც, - კლიმტიდან მომავალი. შესაბამისად, დეკორატივიზმიც დამახასიათებელია და კოლაჟური აზროვნებაც. ყველა ელემენტი თვალსაჩინოა, რაც მის თაობაში (საბჭოთა საქართველოს) შემოქმედს გემოვნებით გამოარჩევდა. პროფესიით არქიტექტორს, მას, ცხადია, დაზგურ ნამუშევარში სივრცის შეტანის მოთხოვნილებაც ჰქონდა, რის გამოც ფაქტურათა მონაცვლეობის ხერხს მიმართავდა. სივრცისკენ მიდრეკილებამხოლოდ არქიტექტორის მოთხოვნილება არ იყო. აზრები, რომელთა გადმოცემის სურვილიც ჰქონდა, ასევე ითხოვდნენ გასაქანს. ამ შინაგანმა ძიებებმა, და როგორც ჩანს - გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობამაც, სრულიად განსაკუთრებული გამოვლინება პოვა. სიბრტყეზე მიგნებული ფორმები, გამოყენებული მასალები, სახეები და დაგროვილი ფიქრები სივრცეში “გაიჭრნენ” და მოძრაობა მოითხოვეს. უცბად დაიბადა ორი მობილური ობიექტი, რომლებსაც საოცარი სისწრაფით მოყვა ყველა დანარჩენი. ამ პროცესს რამდენიმე ადამიანი ვადევნებდით თვალს და მუშაობის ტემპი, სამუშაოს შრომატევადობას თუ გავითვალისწინებთ, მართლაც განსაკვიფრებელი იყო. ისიც ხაზგასასმელია, რომ ყველა დეტალს ავტორი თავის ხელით, ძირითადად ესკიზების გარეშე ასრულებდა.

თენგიზ სეფიაშვილი მექანიკური ობიექტების შესაქმნელად მრავალფეროვან მასალას იყენებს. ძნელია თქვა, ამ შემთხვევაში რომელ დარგს წარმოადგენს ის, - მხატვარია, მოქანდაკეა თუ დიზაინერი. ესეც დამახასიათებელია ჩვენი დროისთვის. ხელოვნების ნიმუში მრავალი სხვადასხვა დარგის ელემენტს შეიძლება შეიცავდეს და ავტორი ყველა დარგს წარმოადგენდეს. სინთეზიზმი დღევანდელი ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. და სივრცობრიობისკენ მიდრეკილებაც. სამგანზომილებიანობის ეპოქაში სივრცობრიობა ხელოვნებაში აღარ ნიშნავს რეალობის რეალისტურად ასახვას, მოცულობის სამ განზომილებაში ჩვენებას. მას შემდეგ, რაც აბსტრაქცია და ყველა დანარჩენიმოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული მიმდინარეობა დაიბადა, ხელოვნება არ და ვერ არსებობს მათი კვალის გარეშე. აღარც კლასიციზმისტური პოსტულატების მიმართ არსებობს წინასწარ განსაზღვრული (ნეგატიური) დამოკიდებულება, მოდერნისტებს რომ გააჩნდათ. თენგიზ სეფიაშვილის ნამუშევრებში მრავალი სხვადასხვა საშუალებაა თავმოყრილი და არქიტექტორის აზროვნებით სტრუქტურულად და კონსტრუქციულად სივრცეში მყარად ორგანიზებული.

მაგრამ რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ობიექტები ამბებსაც “ყვებიან.” ისინი არც მხოლოდ დეკორატიულ ხასიათს ატარებენ, არც მხოლოდ გარკვეული ფორმალური მიგნებების გამოხატულებას წარმოადგენენ და არც მხოლოდ მხატვრული თეორიისა. მათში “ლიტერატურასაც” მიაკვლევს დამთვალეიერებელი. თხრობა მომდინარეობს ავტორის ადრეული გრაფიკული მრავალფიგურიანი კომპოზიციებიდან. შემდგომი, შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები პლაკატური ხასიათის არის, ერთ ფიგურაზე კონცენტრირებული და ნაკლებად “ყვება” რაიმეს. მერე ის ქმნის კოლაჟებს, სადაც გადასვლები მასალაში არ არის მკვეთრი, მაგრამ მათი საშუალებით ის მაინც სიბრტყეს ებრძვის, მისი ზედაპირისთვის თავის დაღწევას ცდილობს. თუმცა, მთლიანობაში ეს კომპოზიციები ისევ რეპრეზენტაციულ ხასიათს ატარებენ. დღეისთვის შექმნილ კინეტიკურ ობიექტებში კი, ადრინდელი გრაფიკული კომპოზიციების მსგავსად, ბევრი რამ ხდება. აქ დემონსტრირებულია ფიქრში გარკვევის სურვილი. თუმცა, არაფერი არ არის მოთხრობილი კონკრეტულად. ამიტომ გამოიყენა ავტორმა სარკე ჯერ კიდევ სიბრტყეზე. ხოლო მობილბეში ეს მასალა მას სწორედ ფიქრების ანარეკლების გამონვევაში ეხმარება (დავით კაკაბაძისგან განსხვავებით).

თანამედროვე ხელოვნება თამაშზეა ორიენტირებული. მოდერნიზმი გულუბრყვილო ხელოვნებას ფორმის თვალსაზრისით აფასებდა და მისდამი დამოკიდებულება თავის ფარგლებში კლასიკურ პოსტულატად აქცია. თანამედროვე ხელოვნებაში კი თავისთავად ნაივური გულწრფელობა წარმოადგენს არალიარებულ კრედოს. ალბათ ამიტომ სათამაშოს ელემენტები ხელოვნების “დამამცირებლად” აღარ აღიქმება. პირიქითაც კი არის. ყოველივე ამის გამო, ეფემერულობაც დამახასიათებელია თანამედროვე ხელოვნებისთვის. ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ დღესდღეობით თოჯინებს, მექანიკურ ობიექტებს, მობილურ ქანდაკებებს ხშირად ქმნიან მხატვრები. და შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოქანდაკე იოჰანეს იანსენსი ამბობს, “ხელოვნებასა და ინჟინერიას შორის კედლები მხოლოდ ჩვენს გონებაში არსებობსო.” ხოლო ლეონარდოს ან ტატლინის საფრენი აპარატების ესკიზები დღეს ისე თანამედროვედ (პოსტმოდერნულად) აღიქმება, როგორც არასდროს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სეპოს (წერას ვამთავრებ და თავს უფლებას მივცემ მისი ფსევდონიმი გამოვიყენო) მობილბე პოსტმოდერნიზმის (თუ მისი შემდგომი ხელოვნების) ბუნებრივ გამოხატულებას წარმოადგენენ. ისინი ავტორის წინამორბედი მხატვრული ძიებების ორგანული გაგრძელებაა არის, მათი დაგვირგვინებაც და ახალი სიტყვაც ზოგადად თანამედროვე ხელოვნებაში.

ქეთევან კინწურაშვილი  
30.04.10